



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 56  
20/11/2019

56-04-4-201911201358



**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2019 წლის III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2019 წლის III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე



## ქედის მუნიციპალიტეტის მერის ზედამხედველობის სამსახურის

### ა ნ გ ა რ ი შ ი

#### 2019 წლის III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ სამშენებლო სამართალდასრლვევის გამო დაჯარიმებულ იქნა ერთი ფიზიკური პირი უნებართვო მშენებლობის განხორციელების შესახებ, ხოლო ორი ფიზიკური პირის მიმართ უნებართვო მშენებლობის წარმოების გამო მიეცათ წერილობითი გაფრთხილება მშენებლობის შეჩერებისა და დემონტაჟისათვის, რაც შესრულდა მათ მიერ გონივრულ ვადაში და შეწყდა სამშენებლო სამართალდასრლვევის საქმის წარმოება.

ჩატარდა კეთილმოწყობითი და დასუთავების სამუშაოები შპს ქედის „კომუნალურსერვის“-ის სამსახურთან ერთად დაბა ქედის ტერიტორიაზე. კერძოდ გაიწმინდა და დასუთავდა ფრიდონ ხალვაშის სახელობის პარკი რუსთაველის ქუჩაზე და გამარჯვების პარკში ნაგვისა და სარეველა მცენარეებისაგან. მოწესრიგდა ტბ. აბუსერიძის, აღმაშენებლის, 26 მაისის, წერეთლის ქუჩების ტერიტორია. სისტემატურად მიმდინარეობს ქუჩების დაგვა-დასუთავება და ხდება ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა დაბა ქედისა და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან. 20 სექტემბერს „დედამიწის დღესთან“ დაკავშირებით ჩატარდა დასუთავების აქცია ბათუმი-ახალციხის ცენტრელურ საავტომობილო გზაზე პირველი მაისი-დაბა ქედის მიმართულებით, რომელშიც მონაწილეობა მოსახლეობასთან ერთად მიიღეს მოსახლეობამ, საჯარო მოხელეებმა, შპს-სა და ააიპ-ის თანამშრომლებმა. CENN-ის ორგანიზებით დანდალოს (თამარის ხიდი, კავიანის ციხე), წონიარისის (თამარის ხიდი), დაბა ქედის (ზენდიდის ციხე), პირველი მაისისა (ცენტრი პ/მაისი, ცივასულას ციხე) და მახუნცეთის (აწქესის ჩანჩქერი, თამარის ხიდი) ადმინისტრაციულ ერთეულებში დამონტაჟდა დანაგვიანების საწინააღმდეგო ბანერები ტურისტული ობიექტების მიმდებარე ტერიტორიებზე.

სისტემატიურად ხორციელდება დაზიანებული გარე განათების ქსელებისა და სანათი წერტილების აღდგენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ზედამხედველობის სამსახურისა და შპს „კომუნალურსერვისი“-ს მიერ განხორციელდა გაფრთხილება ფიზიკური და იურიდიული პირებისა, რადგან მათ სამოქმედო ტეროტორიაზე მოახდინონ მოვლა პატრონობა და დანაგვიანების აღკვეთა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათზე, დასუთავების წესების დარღვევისთვის გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. განხორციელდა დაბა ქედის, მახუნცეთისა და ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულის ცენტრებში მოსახლეობასთან შეხვედრები გარემოს დანაგვიანებაზე. განთავსებულ იქნა საჯარო ადგილებში გამაფრთხილებელი პლაკატები და დარიგებული იქნა ბუკლეტები. სისტემატიურ კონტროლზეა აყვანილი მდინარე აჭარისწყლის სანაპიროდან ინერტიული მასალების მომპოვებელი კომპანიები, რათა არ მოახდინონ გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილის დანაგვიანება. გამოვლენილი ფაქტების შემთხვევაში მათზე ტარდება კანონით გათვალისწინებული ზომები.

საანგარიშო პერიოდში შპს „წყალკანალი“-ს მიერ ჩატარდა საკანალიზაციო - სანიღვრე არხების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა აღმაშენებლის, აბუსერიძის აწქესის, რუსთაველისა და 9 აპრილის ქუჩაზე. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ქედა-

შევაბურისა და აწვევის სასმელი წყლის მაგისტრალებს. დაბა ქედაში სისტემატურად ხდება არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა.

სამსახური აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქედის განყოფილების წარმომადგენელთან ერთად სისტემატურად ანხორციელებს სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევებზე მონიტორინგს დაბა ქედაში განთავსებულ სადალაქოებსა და სალონებში.

შესწავლილი იქნა დაბა ქედისა და თემის ცენტრების გარე-იერსახის, გარე-რეკლამის, გარე-ვაჭრობისა და სანიტარული დასუფთავების მდგომარეობა მისი მოწესრიგების მიზნით. ობიექტის მფლობელებს მიეცათ გაფრთხილება კეთილმოეწყობა ობიექტის გარე სარეკლამო აბრები და დაიცვან სანიტარული დასუფთავების წესები.

დაბა ქედის ცენტრში მოწესრიგდა სავაჭრო ჯიხურები, შეიღება და კეთილმოეწყობა მიმდებარე ტერიტორიები მეპატრონეების მიერ აბუსერიძის და წერეთლის ქუჩაზე. დემონტაჟი ჩატარდა ზვარის ცენტრში უსახურ, ამორტიზირებულ მგზავრთა მოსაცდელსა და დაბა ქედაში წერეთლის ქუჩაზე მდებარე საზოგადოებრივ საპირფარეოს.

სისტემატურად ვახდენ კონტროლს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებარე შენობა-ნაგებობებზე, უსახურ, ამორტიზირებულ ობიექტებზე ღონისძიებების გატარებას. ჩატარდა კეთილმოწყობითი სამუშაოები. კერძოდ, დასრულდა სოფელ ზენდიდში პაპუნძეების უბანში მისასვლელ გზაზე საყრდენი კედლის, მდინარე აკავრეთაზე ნაპირსამაგრი, სოფელ მახუნცეთში თ. თავდგირიძის სახლთან გზის გაფართოების და სოფელ კოკოტაურში სასმელი წყლის მშენებლობის სამუშაოები. დასრულდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები სოფლებში: გოგიაშვილები, ხარაულა, ჯალაბაშვილები, პ/მაისი ზედა აგარა, ქვედა აგარა, ზ/მახუნცეთი, ქოსოფელი, მილისი და ოქტომბერი. სამუშაოებს აწარმოებდა შპს „გეო-გრუპი“. ამავე პროგრამით დასრულდა მერისის ადმინისტრაციულ ერთეულში მგზავრთა მოსაცდელისა და საცალფეხო ბილიკის მშენებლობის სამუშაოები. ასევე ხორციელდება სოფელ ზედა ბზუბზუში მინი სპორტული მოედნის, სოფელ ზუნდაგის ხიდის, სოფელ აგარაში სოციალური სახლის, პ/მაისისა და ახოს ბაგა-ბაღის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიმდინარეობს ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები მერისის, დაბა ქედისა და მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში. დასრულდა მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები.

სამსახური დროულად ახდენს რეაგირებას შემოსულ განცხადებებსა და წერილებზე. ყველა მათგანს დროულად გაეცა პასუხი.

ზედამხედველობის სამსახური საგანგებო მსჯელობის საგნად გახდის, როგორც სახელმწიფო სექტორის, ასევე კერძო მოსახლეობის მხრიდან საზედამხედველო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფაქტებზე შესაბამის ღონისძიებებს.